პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

ს ა ე ქ თ ნ ო ს ა ქ მ ე

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება: საექთნო საქმე / Nursing

მისანიჭებელი კვალიფიკაცია - უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია საექთნო საქმეში/ Higher Vocational Qualification in Nursing

პროგრამის მიზანი: უზრუნველყოს ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზარზე კონკურენტუნარიანი, ზოგად მოვლაზე პასუხისმგებელი ექთნის მომზადება.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: სრული ზოგადი განათლება

დასაქმების სფერო და შესაძლებლობები: საექთნო საქმეში კვალიფიკაციის მფლობელს შეუძლია, დასაქმდეს ჯანდაცვის სფეროში, სხვადასხვა პროფილის სამედიცინო დაწესებულებებში, შინმოვლის სფეროში, სხვა ტიპის ორგანიზაციებში, რომლებიც საჭიროებენ საექთნო მომსახურებას.

ზოგადი ინფორმაცია - საექთნო განათლების ჩარჩო-დოკუმენტი ითვალისწინებს 180 კრედიტის რაოდენობის ზოგად და პროფესიულ მოდულებს. ზოგად მოდულთა კრედიტების რაოდენობა შეადგენს - 9 კრედიტს, ხოლო პროფესიული მოდულების კრედიტების რაოდენობაა - 171. საექთნო საქმეში

კვალიფიკაციის მინიჭებისთვის პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს არანაკლებ 180 კრედიტი.
ქართული ენა A2 და ქართული ენა B1 გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ პროფესიული სტუდენტებისთვის, რომლებმაც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება მოიპოვეს
პროგრამის მოცულობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის - 180 კრედიტი
პროგრამის ხანგრძლივობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის - 28 სასწავლო თვე
პროგრამის მოცულობა არაქათულენოვანი სტუდენტებისთვის - 210 კრედიტი
პროგრამის ხანგრძლივობა არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის - 33 სასწავლო თვე

სწავლის შედეგები -კურსდამთვრებულს შეუძლია:

- შეაფასოს პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობა
- განახორციელოს თერაპიული პაციენტის საექთნო მართვა
- განახორციელოს ქირურგიული პაციენტის საექთნო მართვა
- განახორციელოს გადაუდებელი პაციენტის საექთნო მართვა
- განახორციელოს კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი პაციენტის საექთნო მართვა
- განახორციელოს პერიოპერაციული პაციენტის საექთნო მართვა
- განახორციელოს სამეანო და გინეკოლოგიური პაციენტის საექთნო მართვა
- განახორციელოს პედიატრიული პაციენტის საექთნო მართვა
- განახორციელოს და უზრუნველყოს შინმოვლის მომსახურების გაწევა
- განახორციელოს და უზრუნველყოს გერიატრიული პაციენტის საექთნო მართვა
- დაგეგმოს და განახორციელოს საკუთარი პრაქტიკისა და მოვლის ხარისხის შეფასება.

სწავლის შედეგების დადასტურება და კრედიტის მინიჭება -
პირს კრედიტი მიენიჭება სწავლის შედეგებიდ მიღწევის საფუძველზე, რომელიც შესაძლებელია
ა) წინმსწრები ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებით;
ბ)არაფორმალური განათლების გზით მიღწეული სწავლის შედეგების აღიარება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;
გ) სწავლის შედეგების დადასტურება შეფასების გზით.

არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება. განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.

განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:
ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;
ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.
განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში პირს უფლება აქვს პროგრამის დასრულებამდე მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება. შეფასების მეთოდი/მეთოდები რეკომენდაციის სახით მოცემულია მოდულებში.

კვალიფიკაციის მინიჭება - უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაციის მოსაპოვებლად პროფესიულმა

სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული მოდულებით გათვალისწინებული კრედიტები - არანაკლებ 180 კრედიტისა და ჩააბაროს საკვალიფიკაციო გამოცდა. პროფესიულ სტუდენტს კვალიფიკაციას ანიჭებს შპს ,,გეოგლობალ აკადემია''.

შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით, პირები მოდულებზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობის/წინაპირობების დაძლევის გარეშე. საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კრედიტები პირს ენიჭება მხოლოდ შესაბამისი სწავლის შედეგების დადასტურების შემთხვევაში, ხოლო კვალიფიკაცია საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარების შემდეგ.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა
ფარმაცია (სააფთიაქო)

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება - ფარმაცია (სააფთიაქო) / Pharmacy

მისანიჭებელი კვალიფიკაცია - უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ფარმაციაში/Higher Vocational Qualification in Pharmacy

პროგრამის მიზანი - პროფესიული საგანმანათლელო პროგრამის მიზანია, ჯანდაცვის სფეროსთვის უზრუნველყოფს კონკურენტუნარიანი კადრის აღზრდა, კერძოდ, პროფესიული კადრების მომზადება, რომლებიც შეძლებენ ფარმაცევტული და პარაფარმაცევტული პროდუქციის მიღების–განთავსების, აღწერის, პარაფარმაცევტული პროდუქციის შერჩევა-მიწოდების პროცესში მონაწილეობას, ნაშთების პერიოდულ კონტროლს, მცირე შეფუთვებად მზა წამლის ფორმის დაფასოებას, რეცეპტის მიხედვით წამლის მომზადებას და ურეცეპტოდ გასაცემი ფარმაცევტული პროდუქციის რეალიზაციას;

დაშვების წინაპირობა - სრული ზოგადი განათლება.

დასაქმების სფერო და შესაძლებლობები - ფარმაციაში კვალიფიკაციის მფლობელს შეუძლია დასაქმდეს ფარმაცევტის/ფარმაცევტის თანაშემწის პოზიციაზე აფთიაქებში (ავტორიზებულ აფთიაქში, სპეციალიზებულ და საცალო რეალიზაციის სავაჭრო ობიექტში), საბითუმო რეალიზაციის ობიექტზე, სამედიცინო და ფარმაცევტული ტექნიკის მაღაზიებში.

პროგრამის ხანგრძლივობა - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 3 ზოგად მოდულს, ჯამური 11 კრედიტის მოცულობით, 26 პროფესიულ მოდულს, ჯამური 109 კრედიტის მოცულობით და ერთ არჩევით მოდულს 3 კრედიტის მოცულობით. შესაბამისი მოდულების გავლით პირი ეუფლება

ცოდნას და კვალიფიკაციისათვის აუცილებელ პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს. კვალიფიკაციის მინიჭებისათვის პირმა უნდა დააგროვოს 123 კრედიტი. პროფესიული პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობა: 22 სასწავლო თვე. პირს, რომელსაც უდასტურდება ქართული ენის ცოდნა, მისთვის პროგრამის მოცულობაა 123 კრედიტი (სავარაუდო ხანგრძლივობა 22 სასწავლო თვე); პირს, რომელსაც არ უდასტურდება ქართული ენის ცოდნა პროგრამის მოცულობაა 153 კრედიტი (სავარაუდო ხანგრძლივობა 28 სასწავლო თვე);
შენიშვნა: მოდულების ქართული ენა A2 და ქართული ენა B1 გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ ჩარიცხული პირებისთვის, რომლებსაც არ უდასტურდებათ ქართული ენის ცოდნა. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულებით.

მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისი სწავლის შედეგები - კურსდამთავრებულს შეუძლია:
შეამოწმოს პროდუქცია ვიზუალურად
დაადგინოს თანხმლებ დოკუმენტაციასთან იგივეობა
შეამოწმოს სასაქონლო ნიშნები და რაოდენობა
განათავსოს პროდუქცია სათანადო ადგილზე
ჩაატაროს სააფთიაქო ნაშთის პერიოდული კონტროლი
განახორციელოს ორიგინალური შეფუთვის მცირე შეფუთვებად დაფასოება–მარკირება
მომზადება რეცეპტის მიხედვით სითხოვანი, მყარი და რბილი წამლის ფორმები
გათვალისწინოს მომხმარებელთან ურთიერთობისას ფარმაცევტული ეთიკის და დეონტოლოგიის პრინციპები
განახორციელოს მომხმარებლისათვის სასურველი პროდუქციის შერჩევა-მიწოდება, კონსულტაციის გაწევა პარაფარმაცევტული პროდუქციის მიღების, გამოყენების და შენახვის პირობების შესახებ
განახორციელოს ურეცეპტოდ გასაცემი ფარმაცევტული პროდუქციის რეალიზაცია
განახორციელოს ანგარიშის მომზადება–ჩაბარება პროდუქციის მიღების, ნაშთის პერიოდული შემოწმების, ექსტემპორალური წამლის ფორმების მომზადების, მცირე შეფუთვებად წამლის ფორმების დაფასოების შესახებ
დაიცვას სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმები, გარემოსა და უსაფრთხოების წესები.

სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება და კრედიტის მინიჭება
პირს კრედიტი მიენიჭება სწავლის შედეგების დადასტურების საფუძველზე, რომელიც შესაძლებელია
ა) წინმსწრები ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებით;
ბ)არაფორმალური განათლების გზით მიღწეული სწავლის შედეგების აღიარება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;
გ) სწავლის შედეგების დადასტურება შეფასების გზით.

არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება.

განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.
განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:
ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;

ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.

განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში პირს უფლება აქვს პროგრამის დასრულებამდე მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება. შეფასების მეთოდი/მეთოდები რეკომენდაციის სახით მოცემულია მოდულებში.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოდულების, სწავლის შედეგებისა და თემატიკის კომპონენტებში ითვალისწინებს რვა საკვანძო კომპეტენციის განვითარებას (მშობლიურ ენაზე კომუნიკაცია; უცხო ენაზე კომუნიკაცია; მათემატიკური კომპეტენცია; ციფრული კომპეტენცია; დამოუკიდებლად სწავლის უნარი; პიროვნებათშორისი, კულტურათაშორისი, სოციალური და მოქალაქეობრივი კომპეტენციები; მეწარმეობა და კულტურული გამომხატველობა), რომლებიც მნიშვნელოვანია პროფესიონალი და კონკურენტუნარიანი კადრის აღზრდისთვის.

კვალიფიკაციის მინიჭება - კვალიფიკაციის მოსაპოვებლად პირმა უნდა დააგროვოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული მოდულებით გათვალისწინებული კრედიტები. პროფესიულ სტუდენტს კვალიფიკაციას ანიჭებს შპს ,,გეოგლობალ აკადემია''.

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პირმა სწავლებისათვის - შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით ასეთი პირები მოდულებზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობის/წინაპირობების დაძლევის გარეშე.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

აღმზრდელი

პროგრამის სახელწოდება: აღმზრდელი

მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია: უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია სკოლამდელ აღზრდაში/Higher Vocational Qualification in Preschool Education.“.

პროგრამის მიზანი - აღმზრდელის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია კვალიფიციური კადრის მომზადება, რომელიც შეძლებს ადრეულ და სკოლამდელ ასაკშიბავშვზე ზრუნვას, მის აღზრდასა და განვითარებას. ამ მიზნებისთვის აღმზრდელმა უნდა უზრუნველყოს უსაფრთხო და განმავითარებელი სააღმზრდელო გარემო და ამ პროცესში შეძლოს ბავშვის ოჯახთან, ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების კოლექტივთან, სფეროს წარმომადგენლებთან კომუნიკაცია და საკუთარ პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა.

დაშვების წინაპირობა: სრული ზოგადი განათლება

კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები - პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია დასაქმდეს აღმზრდელის პოზიციაზე, ასევე იმუშაოს თვითდასაქმებით, აღმზრდელად.

პროგრამის მოცულობა და სავარაუდო ხანგრძლივობა - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს თეორიულ და პრაქტიკულ სწავლების კომპონენტსაც. სწავლება-სწავლის პროცესის ხანგრძლივობა არის 2 წელი პროფესიული სტუდენტებისათვის ვისაც უდასტურდება ქართული ენის ცოდნა და სამი წელი ვისაც არ უდასტურდება ქართული ენის ცოდნა, სრული დატვირთვით· საგანმანათლებლო დაწესებულება პასუხისმგებელია თეორიული და პრაქტიკულლი მეცადინეობის

დაგეგმვა-კოორდინაციაზე.
პროფესიულ სტუდენტს, რომელსაც უდასტურდება ქართული ენის ცოდნა აღმზრდელის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობაა 116 კრედიტი (სავარაუდო ხანგრძლივობა 71 სასწავლო კვირა);
პროფესიულ სტუდენტს, რომელსაც არ უდასტურდება ქართული ენის ცოდნა პროგრამის მოცულობაა 146 კრედიტი (სავარაუდო ხანგრძლივობა 91 სასწავლო კვირა);
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა შედგება ზოგადი და სპეციალიზაციის პროფესიული/დარგობრივი მოდულებისგან. ზოგად მოდულთა კრედიტების რაოდენობა შეადგენს 11 კრედიტს, ხოლო პროფესიული მოდულების კრედიტების რაოდენობა კი 105.
მოდულების ქართული ენა A2 და ქართული ენა B1 გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ ჩარიცხული პირებისთვის, რომლებსაც არ უდასტურდებათ ქართული ენის ცოდნა. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულებით.

მისანიჭებელი კვალიფიკაციის აღწერა - სწავლის შედეგები - აღმზრდელის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია:
ადრეული და სკოლამდელი ასაკის ბავშვის ჰოლისტური განვითარება, მათი ასაკობრივი თავისებურებების, ინტერესების, ინდივიდუალური შესაძლებლობების გათვალისწინებით;
მრავალფეროვანი, მასტიმულირებელი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო პროცესის დაგეგმვა და მართვა;
ბავშვის განვითარების ხელსემწყობი სტრატეგიების გამოყენება;
წარმატებული, უსაფრთხო, მხარდამჭერი სააღმზრდელო გარემოს შექმნა.

სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება და კრედიტის მინიჭება - კრედიტის მინიჭება ხორციელდება სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურების საფუძველზე.
სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურება შესაძლებელია:
ა) წინმსწრები ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებით (ჩათვლა);
ბ) არაფორმალური განათლების გზით მიღწეული სწავლის შედეგების დადასტურება განათლების და მეცნიერების მინისტრის მიერ დადგენილი წესით;
გ) სწავლის შედეგების დადასტურება შეფასების გზით.

არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება. განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით. განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:
ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;
ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.
განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს პროგრამის დასრულებამდე მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება. შეფასების მეთოდი/მეთოდები რეკომენდაციის სახით მოცემულია მოდულებში.

კვალიფიკაციის მინიჭება:
პროფესიული კვალიფიკაციის მოსაპოვებლად პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული მოდულებით გათვალისწინებული

კრედიტები. პროფესიულ სტუდენტს კვალიფიკაციას ანიჭებს შპს ,,გეოგლობალ აკადემია''.

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლებისათვის - შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით ასეთი პირები მოდულებზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობის/წინაპირობების დაძლევის გარეშე.
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კრედიტები პირს ენიჭება მხოლოდ შესაბამისი სწავლის შედეგების დადასტურების შემთხვევაში.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

საფინანსო სერვისები

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - საფინანსო სერვისები / Finance services

მისანიჭებელი კვალიფიკაცია - საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია საფინანსო სერვისებში / Basic Vocational Qualification in Finance Services

მიზანი - პროგრამის მიზანია მოამზადოს კვალიფიციური საფინანსო სერვისების პერსონალი, რომელიც შეძლებს სხვადასხვა ტიპის საფინანსო მომსახურების გაწევასა და მომხმარებლის საფინანსო სერვისებთან დაკავშირებულ ინფორმირებას.

დაშვების წინაპირობები - საბაზო განათლება, არანაკლებ 17 წელი

დასაქმების სფერო და შესაძლებლობები - საფინანსო სერვისებში საბაზო პროფესიული კვალიფიკაციის მფლობელს შეუძლია დასაქმდეს სხვადასხვა სავაჭრო ობიექტების მოლარედ, მათ შორის - ბილეთების გაყიდვების სალაროებში; ბანკებსა და არასაბანკო საკრედიტო-საფინანსო დაწესებილებებში მოლრისა და ოპერატორის პოზიციაზე, ასევე ნივთების დაგირავებითა და ფულადი თანხების გაცემით დაკავებული აგენტებისა და ბუკმეკერების პოზიციებზე.

პროგრამის მოცულობა და სავარაუდო ხანგრძლივობა - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს, თეორიულ და პრაქტიკულ სწავლების კომპონენტსაც. სწავლება-სწავლის პროცესის ხანგრძლივობა არის 10 თვე პროფესიული სტუდენტებისათვის ვისაც უდასტურდება ქართული ენის ცოდნა და 1 წელი ვისაც არ უდასტურდება ქართული ენის ცოდნა, სრული დატვირთვით. საგანმანათლებლო დაწესებულება პასუხისმგებელია თეორიული და პრაქტიკულლი მეცადინეობის დაგეგმვა-კოორდინაციაზე. პროფესიულ სტუდენტს, რომელსაც უდასტურდება ქართული ენის ცოდნა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობაა 52 კრედიტი (სავარაუდო ხანგრძლივობა 38 სასწავლო კვირა); პროფესიულ სტუდენტს, რომელსაც არ უდასტურდება ქართული ენის ცოდნა პროგრამის მოცულობაა 67 კრედიტი (სავარაუდო ხანგრძლივობა 48 სასწავლო კვირა); პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა შედგება ზოგადი და პროფესიული მოდულებისგან. ზოგად მოდულთა კრედიტების რაოდენობა შეადგენს 17 კრედიტს, ხოლო პროფესიული მოდულების კრედიტების რაოდენობა კი 35.

შენიშვნა: მოდული ქართული ენა A2 გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ ჩარიცხული პირებისთვის, რომლებსაც არ უდასტურდებათ ქართული ენის ცოდნა. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულებით.

მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისი სწავლის შედეგები - კურსდამთავრებულს შეუძლია:

1. აწარმოოს ნაღდი და უნაღდო ანგარიშსწორება სავაჭრო ობიექტებში
2. აწარმოოს ნაღდი და უნაღდო ანგარიშსწორება საბანკო დაწესებულებებში
3. განახორციელოს სალარო და საბანკო ოპერაციები
4. შესთავაზოს კლიენტებს საბანკო პროდუქტები
5. ეფექტურად მოემსახუროს კლიენტებს.

სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება და კრედიტის მინიჭება - პირს კრედიტი მიენიჭება სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურების საფუძველზე, რომელიც შესაძლებელია:

ა) წინმსწრები ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებით;

ბ)არაფორმალური განათლების გზით მიღწეული სწავლის შედეგების აღიარება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

გ) სწავლის შედეგების დადასტურება შეფასების გზით.

არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება.

განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.

განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:

ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;

ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.

განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში სტუდენტს უფლება აქვს პროგრამის დასრულებამდე მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება. შეფასების მეთოდი/მეთოდები რეკომენდაციის სახით მოცემულია მოდულებში.

კვალიფიკაციის მინიჭება - კვალიფიკაციის მოსაპოვებლად სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული მოდულებით გათვალისწინებული კრედიტები. პროფესიულ სტუდენტს კვალიფიკაციას ანიჭებს შპს ,,გეოგლობალ აკადემია''.

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) სტუდენტების პროგრამაში ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით ასეთი პირები მოდულებზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობის/წინაპირობების დაძლევის გარეშე.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა
ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა

პროგრამის სახელწოდება - ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა / Information Technology Support.

მისანიჭებელი კვალიფიკაცია - საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერაში / Basic Vocational Qualification in Information Technology Support;

პროგრამის მიზანი - უზრუნველყოს ისეთი პროფესიული პროგრამის დანერგვა, რომელიც მოამზადებს კვალიფიციურ სპეციალისტს, რომელიც ფლობს აპარატურული უზრუნველყოფისა და ოპერაციული სისტემების დაყენების, განახლების, დაზიანებების აღმოფხვრის, ოპტიმიზაციის, დიაგნოსტირებისა და მომსახურებისათვის საჭირო სპეციალურ ტექნიკურ უნარ-ჩვევებს; აქვს სფეროსათვის დამახასიათებელი ძირითადი ფაქტების, პრინციპების, პროცესებისა და ზოგადი კონცეფციების ცოდნა.

კვალიფიკაციის დონე - მესამე დონე

დასაქმების შესაძლებლობები- ინფორმაციული ტექნოლოგიების მხარდაჭერის სპეციალისტს შეუძლია დასაქმდეს ნებისმიერი პროფილის და ზომის ორგანიზაციაში.

დაშვების წინაპირობა - საბაზო ზოგადი განათლება

სწავლის შედეგები - კურსდამთავრებულს შეუძლია:

- უზრუნველყოს კომპიუტერის აპარატურული მხარდაჭერა (Hardware);
- უზრუნველყოს კომპიუტერის პროგრამული მხარდაჭერა (Software);
- იმუშაოს მობილურ, Linux და Windows Server ოპერაციულ სისტემებთან;
- გამართოს პერიფერიული მოწყობილობები;
- დაამონტაჟოს და გამართოს მცირე ზომის კომპიუტერული ქსელი;
- დაამონტაჟოს და გამართოს ვიდეო სამეთვალყურეო სისტემები;
- უზრუნველყოს კომპიუტერულ სისტემებში გაუმართაობების იდენტიფიცირება / აღმოფხვრა;
- უზრუნველყოს კომპიუტერული სისტემების მხარდაჭერა სამუშაო ადგილზე და დისტანციურ რეჟიმში.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა - პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტი ითვალისწინებს 4 ზოგად მოდულს, ჯამური 9 კრედიტის მოცულობით და 8 პროფესიულ მოდულს ჯამური 46 კრედიტის მოცულობით. ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერაში საბაზო პროფესიული კვალიფიკაციის მისანიჭებლად საჭიროა ჯამურად 55 კრედიტის დაგროვება.

სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება და კრედიტის მინიჭება - პირს კრედიტი მიენიჭება სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურების საფუძველზე, რომელიც შესაძლებელია:
წინმსწრები ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებით;
არაფორმალური განათლების გზით მიღწეული სწავლის შედეგების აღიარება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;
სწავლის შედეგების დადასტურება შეფასების გზით.
არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება.
განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.

განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:

ა)სწავლის შედეგი დადასტურდა;

გ)სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.

განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში სტუდენტს უფლება აქვს პროგრამის დასრულებამდე მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება. შეფასების მეთოდი/მეთოდები რეკომენდაციის სახით მოცემულია მოდულებში.

კვალიფიკაციის მინიჭება - კვალიფიკაციის მოსაპოვებლად სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული მოდულებით გათვალისწინებული კრედიტები. პროფესიულ სტუდენტს კვალიფიკაციას ანიჭებს შპს ,,გეოგლობალ აკადემია''.

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლებისათვის - შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით ასეთი პირები მოდულებზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობის/წინაპირობების დაძლევის გარეშე.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა
ვეტერინარია

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - ვეტერინარია / Veterinary

მისანიჭებელი კვალიფიკაცია - უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ვეტერინარიაში/ Higher Vocational Qualification in Veterinary

პროგრამის მიზანი - პროგრამის მიზანია უზრუნველყოს შრომის ბაზრისთვის კონკურენტუნარიანი, კვალიფიციური ვეტერინარი ტექნიკოსის მომზადება, რომელიც, უფლებამოსილების ფარგლებში, შეძლებს ცხოველთა მკურნალობას, მათ დაავადებებსა და დაზიანებებზე რეაგირებას, საზოგადოებისა და პიროვნებებისთვის რჩევების მიცემას, ოპერაციის შემდგომ ცხოველთა მდგომარეობის მონიტორინგს, ამბულატორიულ მკურნალობას, ცხოველთა ხელოვნურად განაყოფიერების მიზნით ტექნიკური დავალებების შესრულებას, ვეტერინარისთვის ცხოველთა ჯანმრთელობის პრობლემების დიაგნოსტირებისას რადიოგრაფების, ნიმუშებისა და სხვა ლაბორატორიული ტესტების შეგროვებაში დახმარებას, ვეტერინარი ქირურგის ასისტირებას, დაკვლის წინა და დაკვლის შემდგომ პროცესებში მონაწილეობას და სხვ.

დაშვების წინაპირობა - სრული ზოგადი განათლება

დასაქმების სფერო და შესაძლებლობები - ვეტერინარიაში კვალიფიკაციის მფლობელს შეუძლია დასაქმდეს ვეტერინარულ კლინიკაში, ფერმერულ მეურნეობაში, ვეტერინარულ აფთიაქში, ზოოპარკში, ზოომაღაზიაში, ცხოველთა თავშესაფარში, ვეტერინარულ ლაბორატორიაში, საკონსულტაციო ცენტრებში, ვივარიუმში, ცხოველთა სასაკლაოზე, ხორცის გადამამუშავებელ საწარმოებში, ვეტერინარული პრეპარატების, ხელოვნური დათესვლის საწარმოებში, ცხოველური ნედლეულის გადამამუშავებელ საწარმოებში. ასევე შესაძლოა იყოს თვითადასაქმებული.

პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა - პროფესიული პროგრამა ითვალისწინებს 5 ზოგად მოდულს, ჯამური 16 კრედიტის მოცულობით; 18 პროფესიულ მოდულს, ჯამური 64 კრედიტის მოცულობით და 8

კლინიკური სწავლების მოდულს ჯამური 40 კრედიტის მოცულობით. ქართულენოვანთათავის პროგრამა გრძელდება 40 კვირა, ხოლო არაქრთულენოვანთათვის 101 კვირა.

სწავლის შედეგები - კურსდამთავრებულს შეუძლია:

- უმკურნალოს ცხოველებს ვეტერინარის დანიშნულების მიხედვით
- კომპეტენციის ფარგლებში გასცეს რეკომენდაციები/რჩევები ცხოველთა დაავადებებსა და დაზიანებებზე
- უზრუნველყოს პირველადი ვეტერინარული დახმარება ცხოველის, მათ შორის შინაური ცხოველის მსუბუქი დაზიანებისა და გადაუდებელი შემთხვევების დროს
- განახორციელოს ვეტერინარი ქირურგის ასისტირება
- ცხოველთა ხელოვნურად განაყოფიერების მიზნით, შეასრულოს ტექნიკური დავალებები
- აიღოს ლაბორატორიული სინჯები, მოაგროვოს და ჩაატაროს ექსპრესტესტები
- ვეტერინარს გაუწიოს ასისტირება ცხოველთა ჯანმრთელობის პრობლემების დადგენისას და რუტინულ სტომატოლოგიურ პროცედურებში
- განახორციელოს ცხოველთა საკვებისა და კვების პროცესის მონიტორინგი
- აღრიცხოს და ჩამოწეროს მედიკამენტები, ქიმიკატები და სხვა ფარმაცევტული მასალები
- მიიღოს მონაწილეობა ცხოველთა ზოგად პროფილაქტიკურ, საკარანტინე-შემზღუდველ, გეგმიურ და იძულებით ეპიზოოტიის საწინააღმდეგო (ვაქცინაცია, დეზინფექცია, დერატიზაცია, დეზინსექცია, დეგაზაცია, დეზოდორაცია, დეზაკარიზაცია) ღონისძიებებში
- განახორციელოს ცხოველთა დაკვლისწინა და დაკვლის პროცესის მონიტორინგი
- ვეტერინარის ზედამხედველობით განახორციელოს ცხოველთა დაკვლის შემდგომი შემოწმება.

სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება და კრედიტის მინიჭება - პირს კრედიტი მიენიჭება სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურების საფუძველზე, რომელიც შესაძლებელია:
წინმსწრები ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებით;
არაფორმალური განათლების გზით მიღწეული სწავლის შედეგების აღიარება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;
სწავლის შედეგების დადასტურება შეფასების გზით.
არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება.
განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.

განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:

ა)სწავლის შედეგი დადასტურდა;

გ)სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.

განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში სტუდენტს უფლება აქვს პროგრამის დასრულებამდე მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება. შეფასების მეთოდი/მეთოდები რეკომენდაციის სახით მოცემულია მოდულებში.

კვალიფიკაციის მინიჭება

კვალიფიკაციის მოსაპოვებლად საჭიროა 120 კრედიტის დაგროვება. პროფესიულ სტუდენტს კვალიფიკაციას ანიჭებს შპს ,,გეოგლობალ აკადემია''.

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პირის სწავლება

შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით ასეთი პირები მოდულებზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობის/წინაპირობების დაძლევის გარეშე.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა
საბაჟო საქმე

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა- საბაჟო საქმე / Customs Study

მისანიჭებელი კვალიფიკაცია - უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია საბაჟო საქმეში / Higher Vocational Qualification in Customs Study

მიზანი - პროგრამის მიზანია საბაჟო საქმის სპეციალისტის მომზადება, რომელიც შეძლებს განახორციელოს საბაჟო საზღვრის კვეთასთან, საქონლის საბაჟო გაფორმებასთან, საბაჟო ზედამხედველობასთან, საბაჟო კონტროლის განხორციელებასთან, ასევე საბაჟო წარმომადგენლობასთან დაკავშირებული ამოცანები. პროგრამის მიზანია, მოამზადოს მაღალკვალიფიციური სპეციალისტები, რომლებიც დაკისრებულ მოვალეობას შეასრულებენ პროფესიული ეთიკის, შრომისა და უსაფრთხოების ნორმების დაცვით. სპეციალისტები აღჭურვილი იქნებიან პროფესიული და ზოგადი/ტრანსფერული უნარებით.

დაშვების წინაპირობა - სრული ზოგადი განათლება

დასაქმების სფერო და შესაძლებლობები - საბაჟო საქმეში უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაციის მფლობელს შეუძლია დასაქმდეს როგორც საჯარო (სსიპ – შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტი), ისე კერძო სექტორში (საბროკერო, საკონსულტაციო, სავაჭრო, სამრეწველო, გადამზიდველი და ლოგისტიკური კომპანიები, დიპლომატიური დაწესებულებები, არასამთავრობო ორგანიზაციები, საბაჟო საწყობები და ტერმინალები). საჯარო სექტორში ის შეიძლება დასაქმდეს სასაზღვრო გამშვები პუნქტის ან საბაჟო გაფორმების საბაჟო ოფიცრად, ხოლო კერძო სექტორში - საბაჟო ბროკერად, საბაჟო დეკლარანტად, საბაჟო გაფორმების სპეციალისტად. ეს ფუნქციები შესაძლოა შერწყმულ იქნეს ლოგისტიკის სპეციალისტის, საბაჟო ტერმინალის მომსახურების განყოფილების სპეციალისტების ფუნქციებთან. კარიერული ზრდის თვალსაზრისით, კურსდამთავრებულს სწავლის გაგრძელება შეუძლია შემდგომ საფეხურებზე ბიზნესისა და ადმინისტრირების მიმართულებით.

მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისი სწავლის შედეგები - კურსდამთავრებულს შეუძლია:

- განახორციელოს საბაჟო ზედამხედველობა;
- გააკონტროლოს ფიზიკური პირი;
- გააკონტროლოს სატრანსპორტო საშუალებები;
- განსაზღვროს საქონლის წარმოშობის ქვეყანა და საბაჟო ღირებულება;
- განსაზღვროს საბაჟო პროცედურა/რეექსპორტი და გაუკეთოს ადმინისტრირება საბაჟო გადასახდელებს;
- განახორციელოს საბაჟო დეკლარირება;
- განახორციელოს საბაჟო გაფორმება;
- განახორციელოს სასაზღვრო საკარანტინო კონტროლი;
- განახორციელოს არასატარიფო ღონისძიებები;
- განახორციელოს საბაჟო სამართალდარღვევის საქმის წარმოება.

სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება და კრედიტის მინიჭება - პირს კრედიტი მიენიჭება სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურების საფუძველზე, რომელიც შესაძლებელია:

ა)წინმსწრები ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებით;

ბ)არაფორმალური განათლების გზით მიღწეული სწავლის შედეგების აღიარება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

გ) სწავლის შედეგების დადასტურება შეფასების გზით.

არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება.

განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.

განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:

ა)სწავლის შედეგი დადასტურდა;

ბ)სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.

განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში სტუდენტს უფლება აქვს პროგრამის დასრულებამდე მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება. შეფასების მეთოდი/მეთოდები რეკომენდაციის სახით მოცემულია მოდულებში.

კვალიფიკაციის მინიჭება - კვალიფიკაციის მოსაპოვებლად სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული მოდულებით გათვალისწინებული კრედიტები. პროფესიულ სტუდენტს კვალიფიკაციას ანიჭებს შპს ,,გეოგლობალ აკადემია''.

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლებისათვის - შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით ასეთი პირები მოდულებზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობის/წინაპირობების დაძლევის გარეშე.